ტიპური განვითარების მქონე ბავშვის მიერ გამოყენებული სიტყვების რაოდენობა 18-დან 24 თვის ასაკში

ნინო აბუსელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, ენისა და მეტყველების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის მიზნით

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო აბუსელიძე, 2022 წელი

აბსტრაქტი

ბავშვის მეტყველების განვითარებაზე ბევრი კვლევა არსებობს, რაც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს, თუმცა ქართულენოვანი ბავშვების ლექსიკონის განვითარებაზე მხოლოდ დღიურებზე დაფუძნებული ინფორმაცია გვაქვს, სწორედ ამიტომ კვლევა ეხება ტიპური განვითარების მქონე ბავშვების ლექსიკური მარაგის შესწავლას 18-დან 24 თვის ასაკში. კვლევის მიზანია გავიგოთ, რამდენ სიტყვას იყენებს ბავშვი კომუნიკაციის დროს და რამდენი სიტყვისგან შედგება მათი ექსპრესული ენის ლექსიკური მარაგი. კვლევის მიზანია ასევე გავიგოთ მოცმულ ასაკში რა კატეგორიის სიტყვებს იყენებს ბავშვი, როგორ ვითარდება ის ასაკის ზრდასთან ერთად და მეტყველების რამდენ პროცენტს შეადგენს თითოეული მათგანი. კვლევაში მონაწილე ბავშვები შეირჩა ჩართვის კრიტერიუმების მიხედვით: ბავშვები იზრდებოდნენ ერთენოვან გარემოში, მშობლიური ენა არის ქართული, არ იღებენ მეტყველების თერაპიას ან სხვა სახის სერვის, არიან ტიპური განვითარების, რაც შეფასდა ASQ-ის მიხედვით. ინფორმირებული თანხმობის შემდეგ მშობელს მიეცა დავალება, რომ გაეკეთებინათ ერთ საათიანი ვიდეო მასალა, სადაც კარგად იქნებოდა ნაჩვენები ბავშვის ენობრივი შესაძლებლობები. აქტივობები წინასწარ იყო განსაზღვრული: წიგნის თვალიერების პროცესი, ოჯახის წევრებთან ერთად თამაში და რუტინული აქტივობის დრო. ვიდეო მასალის მონაცემები დამუშავდა CLAN-ის პროგრამის მეშვეობით. მიღებულმა შედეგებმა გვაჩვენა, თუ როგორ იზრდება ბავშვის ლექსიკონი თვეების მიხედვით. მონაცემების მიხედვით 18-დან 20 თვის ასაკში ბავშვის ლექსიკონის საშუალოდ 50%-ზე მეტი არის არსებითი სახელი ხოლო 21-დან 24 თვის ასაკში მისი მაჩვენებელი იკლებს საშუალოდ 39%-მდე.

საკვანძო სიტყვები: უნიკალური სიტყვების რაოდენობა, ექსპრესული ენის ლექსიკური მარაგი, სიტყვების კატეგორია.

Abstract

There is a lot of research on child speech development that provides important information. However, we have information based on diaries only on the development of the Georgian-language children's dictionary. This is why the study deals with the study of the vocabulary of children with typical development at the age of 18 to 24 months. The aim of the study is to understand how many words a child uses in communication and how many words make up their lexical stock of expressive language. The aim of the study is also to understand what category of words a child uses in adulthood, how he / she develops with age and what percentage of speech each of them makes up. The children participating in the study were selected according to the inclusion criteria: the children grew up in a monolingual environment, their mother tongue is Georgian, they do not receive speech therapy or other services, they are of typical development, which was assessed according to the ASQ. After informed consent, the parent was instructed to make a one-hour video where the child's language abilities would be well demonstrated. Activities were predetermined: the process of reading a book, playing with family members, and the time for routine activities. Video material data was processed through the CLAN program. The results showed how the baby's dictionary grows over the months. According to the data, at the age of 18 to 20 months, on average, more than 50% of a child's dictionary is a noun, and at the age of 21 to 24 months, its rate decreases to an average of 39%.

Keywords: number of unique words, expressive language vocabulary, word category.